საქმე # 010210119002873840
 # 2-574/2019

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

06 ნოემბერი, 2019 წელი ქ. ბათუმი

შესავალი ნაწილი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - სალიხ შაინიძე
სხდომის მდივანი - ნათია გოგმაჩაძე

მოსარჩელე (მოპასუხე) - გი----------ე
მოსარჩელე - ბა----------ე, ფა----------ე
წარმომადგენელი - პა----------ე

მოპასუხე (მოსარჩელე) ნი----------ე
წარმომადგენელი: მა----------ე

მესამე პირი - არასრულწლოვანი ემ----------ე
წარმომადგენელი - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, გ----------ე

დავის საგანი: შვილისა და შვილიშვილის ნახვის დღეების განსაზღვრა

დავის საგანი (ნი----------ის სარჩელზე) - ალიმენტის დაკისრება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

1. სასარჩელო მოთხოვნა:

1.1. მოსარჩელეებს - გი----------ეს, ბა----------ეს და ფა----------ეს განესაზღვროთ შვილის - შვილიშვილის - 2016 წლის 1----------ს დაბადებული ემ----------ის (პ/ნ 6----------) ნახვის დღეები კვირაში სამჯერ, პარასკევს, შაბათს და კვირას 24 საათის განმავლობაში, ასევე ზაფხულისა და ზამთრის

არდადეგების ნახევარი 24 საათის განმავლობაში.

სარჩელი დასაბუთებულია შემდეგი არგუმენტებით:
- გი----------ე და ნი----------ე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, შემდეგში კი ისინი განქორწინდნენ.
- გი----------ეს და ნი----------ეს თანაცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ შვილი - 2016 წლის 1----------ს დაბადებული ემ----------ე (პ/ნ 6----------). განქორწინების შემდეგ ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათი საერთო შვილი ემ----------ე იმყოფება დედასთან - მოპასუხე ნი----------ესთან.
- ბა----------ე და ფა----------ე გი----------ის მშობლები არიან, ანუ ემ----------ის - ბაბუა და ბებია არიან.
- მოპასუხე ბავშვის მამას, ბაბუასა და ბებიას ხელს უშლის მის მონახულებაში, რის გამოც მოსარჩელეები მოითხოვენ, რათა სასამართლო წესით განისაზღვროს ბავშვის მონახულების დღეები.
(იხ. სარჩელი, ახსნა-განმარტებები სხდომის ოქმში).

2. მოპასუხის პოზიცია:

2.1. მოპასუხე სარჩელს არ ცნობს.

მოპასუხის პოზიცია ეფუძნება შემდეგ არგუმენტაციას:
- მოპასუხეებს ჰქონდათ ბავშვის მონახულების საშუალება, თუმცა ბოლო თვეებში ბავშვის მამა გი----------ე ბავშვის მიმართ იჩენს აგრესიას, რის გამოც ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბავშვის მამას არ ჰქონდეს ურთიერთობა მასთან;
- მოსარჩელეები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, არც მატერიალურად და არც მორალურად, არ იღებენ მონაწილეობას ბავშვის აღზრდა-განვითარებაში;
- სასამართლო სხდომაზე მოპასუხე დაეთანხმა ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრას, ოღონდ მხოლოდ ორშაბათს და სამშაბათ დღეებში მხოლოდ 4 საათით, ბავშვის მოსარჩელეებთან დარჩენის - ღამისთევის გარეშე.
(იხ. შესაგებელი, ახსნა-განმარტებები სხდომის ოქმში).

3. მესამე პირის არასრულწლოვანი ემ----------ის წარმომადგენელი - მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო - სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო შესაგებლით სარჩელს ცნობს ნაწილობრივ. კერძოდ:
- ბავშვის აღზრდა-განვითარებაში ორივე მშობლის მონაწილეობას აუცილებლად მიიჩნევს, ხოლო მისი ნახვის დღეების განსაზღვრასთან დაკავშირებით, მიუთითებს რომ აუცილებელია, რათა გათვალისწინებული იქნეს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის რეკომენდაციები.
- ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, ბავშვის გარემოს რადიკალური ცვლილებები გამართლებული არ იქნება, ამიტომ ბავშვის ნახვის დღეები უნდა

განისაზღვროს მოსარჩელეებთან დარჩენის- ღამისთევის გარეშე;
- სოციალური მუშაკის დასკვნის თანახმად, მხარეთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები დამაკმაყოფილებელია ბავშვის ნორმალური აღზრდა-განვითარებისათვის და ამაში ორივე მშობლის მონაწილეობას აუცილებლად მიიჩნევს.
- ფსიქოლოგის განმარტებით, ბავშვს ახასიათებს მიჯაჭვულობა დედასთან, ასევე კონტაქტურია ბაბუასთან, ღამისთევით დარჩენაზე, ფსიქოლოგის შეფასებით, ბავშვი ამისათვის ემოციურად არ არის მზად.
(იხ. შესაგებელი, ახსნა-განმარტებები სხდომის ოქმში).

4. ნი---------–---ის სასარჩელო მოთხოვნა:

4.1. მოპასუხე გი----------–-----ეს მოსარჩელე ნი----------–---ის სასარგებლოდ დაეკისროს 2016 წლის 1----------ს დაბადებული ემ-–----------–-----ის (პ/ნ 6----------) რჩენისატვის ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 300 ლარის ოდენობით.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას ასაბუთებს შემდეგ არგუმენტაციაზე დაყრდნობით:
- გი----------–-----ე და ნი----------–---ე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, შემდეგში კი, 2016 წლის 05 სექტემბერს ისინი განქორწინდნენ.
- გი----------–-----ეს და ნი----------–---ეს თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილი - 2016 წლის 1----------ს დაბადებული ემ-–----------–-----ე (პ/ნ 6----------). განქორწინების შემდეგ ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათი საერთო შვილი ემ-–----------–-----ე იმყოფება დედასთან - მოპასუხე ნი----------–---ესთან.
- ბავშვის მამა არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდა-განვითარებაში, არ იხდის ალიმენტს, მოპასუხეს კი, რომელიც არ არის დასაქმებული, მარტოს უწევს ბავშვის მოვლა და აღზრდა, რაშიც მას ეხმარებიან მისი ოჯახის წევრები - დედა და ბებია.
- მოსარჩელის წარმომადგენელი განმარტავს, რომ ბავშვისათვის საჭიროა თვეში 600 ლარი, ითხოვს მისი ნახევრის - 300 ლარის დაკისრებას.
(იხ. სარჩელი, ახსნა-განმარტებები სხდომის ოქმში).

5. მოპასუხის პოზიცია:

5.1. მოპასუხე გი----------–-----ე სარჩელს ნაწილობრივ ცნობს, კერძოდ:
- იგი თანახმაა, რომ გადაიხადოს ყოველთვიურად ალიმენტი 100 ლარის ოდენობით, რადგან მეტის საშუალება არ აქვს. იგი ყოველთვის ცდილობდა მონაწილეობა მიეღო ბავშვის აღზრდასა და მოვლაში, თუმცა მოპასუხე ხელს უშლის ბავშვის მონახულებაში.
(იხ. შესაგებელი, ახსნა-განმარტებები სხდომის ოქმში).

6. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დადგენილი ფაქტობრივი

გარემოებები:

6.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

6.1.1. გი----------ე და ნი----------ე იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში, შემდეგში კი, 2016 წლის 05 სექტემბერს ისინი განქორწინდნენ.
სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- სარჩელი, შესაგებელი;
- განქორწინების მოწმობა.

6.1.2. გი----------ეს და ნი----------ეს თანაცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ შვილი - 2016 წლის 1----------ს დაბადებული ემ----------ე (პ/ნ 6----------). განქორწინების შემდეგ ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათი საერთო შვილი ემ----------ე იმყოფება დედასთან - მოპასუხე ნი----------ესთან.
სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სარჩელი, შესაგებელი;

- დაბადების მოწმობა.

- ახსნა-განმარტებები სხდომის ოქმში;

6.1.3. ბა----------ე და ფა----------ე გი----------ის მშობლები არიან, ანუ ემ----------ის - ბაბუა და ბებია. გი----------ე ცხოვრობს მშობლებთან ერთად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- სარჩელი, შესაგებელი;
- დაბადების მოწმობა;
- მხარეთა განმარტებები.

6.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

6.2.1 მხარეები დავობენ ალიმენტის ოდენობაზე, ასევე ბავშვის ნახვის დღეებზე და ღამე დარჩენის შესაძლებლობაზე. სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხები ფაქტობრივი გარემოებები არაა. იგი სამართლებრივი შეფასების საკითხია და მასზეა დამოკიდებული სარჩელის დაკმაყოფილების საკითხი. ამ საკითხებზე სასამართლო იმსჯელებს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

7. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

სარჩელების განხილვის, ახსნა-განმარტებების მოსმენის, მხარეთა წარმომადგენლების სამართლებრივი პოზიციების გაანალიზებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრის, ასევე სარჩელი ალიმენტის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

8. კანონები, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა:

- საქრთველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
- "ბავშვის უფლებათა შესახებ" კონვენცია

9. სამართლებრივი შეფასება:

"ბავშვის უფლებათა შესახებ" კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

საქართველო მიერთებულია "ბავშვის უფლებათა შესახებ" კონვენციაზე და იძლევა გარანტიას ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებში. ბავშვთა უფლებების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით:
,,1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით".

ბავშვთა უფლებების დაცვა საქართვეოს კონსტიტუციით გარანტირებული ვალდებულებაა. მას აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია და ქმნის მისი დაცვის გარანტიებს. მათგან ძირითადი მარეგულირებელი ნორმები თავმოყრილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

სარჩელი ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრის შესახებ:

9.1. მშობელთა ურთიერთობა შვილებთან ურთიერთობაში, დარეგულირებულია, როგორც საერთაშორისო აქტებით ისე შიდა კანონმდებლობით. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელვანია საქართველოს სამოქლაქო კოდექსის 1197-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ,,შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში". ამავე კოდექსის 1198-ე მუხლით ,,მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით".

9.2. სამოქალაქო კოდექსის 1199-ე მუხლის თანახმად მშობლების უფლება არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

9.3. ამავე კოდექსის 1202-ე მუხლით ,,მშობლებს თანაბრად აქვს ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი განქორწინებულნი არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მშობელს, რომელთანაც შვილი ცხოვრობს, უფლება არ აქვს შეზღუდოს მეორე მშობლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ ბავშვთან ურთიერთობა და მის აღზრდაში მონაწილეობის მიღება, მშობლის არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაცაა, ხოლო დედას, რომელიც თავად ზრდის ბავშვს, უფლება არა აქვს ცალკე მცხოვრობ მამას ხელი შეუშალოს მშობლის უფლება-მოვალეობების განხორციელებაში.

9.4. "ბავშვთა უფლებათა კონვენციის" მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.
ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცილებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინაამღდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ ბავშვის "ჭეშმარიტი ინტერესი" მოცემულ შემთხვევაში არის ის, რომ შვილებს ორივე მშობელთან ჰქონდეთ ერთნაირი ურთიერთობა. მათთან ურთიერთობის დროს არ უნდა იქნეს დარღვეული მათი, როგორც ბავშვის უფლებები. სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ ორივე მშობელი თანაბარწილად არის ვალდებული შვილის აღზრდა-განვითარებაში მიიღოს მონაწილეობა. უნდა შეიქმნას ისეთი ურთიერთობა, რაც ბავშვს საშუალებას მისცემს იყოს ორივე მშობელთან მჭიდრო ურთიერთობაში. სწორედ ასეთი ურთიერთობით ხდება ბავშვის სათანადო აღზრდა და ჩამოყალიბება. ბავშვს, რაც უფრო მეტი ურთიერთობა ექნება ორივე მშობელთან, მით მეტად მოხდება მისი პიროვნების სრულფასოვანი ჩამოყალიბება და განვითარება.

9.5. ერთი მშობლის მიერ მეორისათვის შვილთან ურთიერთობის აკრძალვა არა მარტო მშობლის უფლების დარღვევაა, არამედ იგი ლახავს თვით შვილის უფლებებს ცალკე მცხოვრებ მშობელთან ურთიერთობის სფეროში, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის აღზრდის ინტერესებს. შვილს უფლება აქვს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს თავის მამასთან. თავის მხრივ მამაც მონაწილეობდეს მის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში და ასევე რჩენაში. ეს უფლება მამებს მინიჭებული აქვთ არამარტო კანონით, არამედ ზნეობის ნორმებით, ადათებითა და ჩვეულებებით. მათი ერთობლიობით სასამართლო მიიჩნევს, რომ გი----------–-----ეს უფლება უნდა მიეცეს ურთიერთობა იქონიოს არასრულწლოვან შვილთან. ასეთი ურთიერთობის არქონა, ან ხელშეშლა პირველ რიგში დააზარალებს არასრულწლოვანის ინტერესებს, რაც დაუშვებელია და უნდა აღმოიფხვრას სასწრაფოდ. თუ გამოვლინდება შემთხვევა, რა დროსაც ერთ-ერთი მშობელი მართლსაწინააღმდეგოდ ცდილობს, რომ მეორე მშობელმა არ ინახულოს ბავშვი, დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია დაავალდებულოს ერთ-ერთი მშობელი, საშუალება მისცეს მეორე მშობელს, რომელიც შვილთან ერთად არ ცხოვრობს, ურთიერთობა იქონიოს შვილთან და ამ მიზნით იგი განსაზღვრავს და ადგენს მცირეწლოვან შვილთან ურთიერთობის წესს.

9.6. ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ემ-–----------ე მცირეწლოვანია, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მისი ასაკი. იგი დაბადებულია 2016 წლის 1----------ს, ანუ საქმის განხილვის მომენტისათვის დაახლოებით სამი წლისა და 2 თვისაა. საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნას მისი ასაკი, ოჯახის წევრებზე მიჩვევის, თანატოლებთან ურთიერთობის, ღამე დედის გარეშე სხვაგან დარჩენისას ფსიქოლოგიური განცდები და სხვა აუცილებელი საკითხები. შესაძლებელია დედის გარეშე ბავშვის სხვაგან დარჩენამ გამოიწვიოს ნეგატიური შედეგი, ამიტომ მათი ნახვის დღეები შეზღუდულად უნდა გადაწყდეს. არ არის სასურველი გარკვეულ ასაკის

მიღწევამდე ისინი დედის გარეშე ღამით რჩებოდეს მამასთან. მსგავსი ქმედება არ არის მამის დისკრიმინაცია. შეზღუდვა გამომდინარეობს შვილის ინტერესებიდან. ბუნებრივია მამასთან ღამით დარჩენის აკრძალვა არ არის გონივრული, ამიტომ სასამართლომ მოსარჩელის შვილთან ურთიერთობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს გარკვეულ ასაკამდე, ანუ იმ ასაკამდე, რა ასაკამდეც სასურველი არ არის შვილი დედის გარეშე ხანგრძლივი ვადით რჩებოდეს მამასთან ღამით. სასამართლო ასეთ ასაკად მიიჩნევს 6 წლის ასაკს და 10 წლის ასაკს. მათი ცნობირების, უნარ-ჩვევების, მიჩვევისა და სხვა საკითხების გათვალისწინებით შვილები 6 წლის ასაკამდე ღამით მამასთან არ უნდა დარჩენ. ისინი თანდათანობით უნდა შეეჩვიონ მამასთან ყოფნას და მყარი კონტაქტის შემდეგ ექნება საშუალება თავისთან ჰყავდეს ღამითაც. 6 წლამდე ასაკის ბავშვი, რომელიც მიჩვეულია დედაზე და ვერ ძლებს დედის გარეშე, ღამით უნდა იყოს დედასთან და ღებულობდეს იმ სიმშვიდეს, რაც დედის გვერდით აქვს მას ჩამოყალიბებული. უფრო გონივრულია მოსარჩელეს შვილებთან 6 წლამდე ურთიერთობა ჰქონდეს - ყოველი კვირის შაბათ და კვირა დღეს, რათა მოინახულოს და წაიყვანოს თავისთან 12 საათიდან 5 საათით და დააბრუნოს - მიუყვანოს დედას - მოპასუხე ნი----------ეს 17 საათზე. ხოლო არასრულწლოვანი ემ-–----------ის მიერ 6 წლის ასაკს მიღწევიდან, ყოველი კვირის შაბათ დღეს, 12 საათიდან მოინახულოს და წაიყვანოს თავისთან ღამისთევით და დააბრუნოს - მიუყვანოს დედას - მოპასუხე ნი---------–-ეს მეორე დღეს - კვირას 14 საათზე.

სასამართლო მიიჩნევს, რომ შვილებთან მშობლის ურთიერთობაზე მხარეები თავად უნდა თანხმდებოდნენ. შეთანხმებით შვილის აღზრდა წარმატებული აღზრდაა. ამ საკითხში მხარეებს მართებთ უფრო ცივილური მიდგომა. იქედან გამომდინარე, რომ არასრულწლოვანს მშობელი წარმოადგენს 18 წლის ასაკამდე, შესაბამისად შვილის ნახვის დღეების განსაზღვრა გულისხმობს 18 წლამდე ასაკის პერიოდს.

9.7. სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლით პაპასა და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილებთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე/მზრუნველი უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე/მზრუნველი, საშუალება მისცენ პაპასა და ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

დადგენილია და სადავო არ არის ის გარემოება, რომ ბა----------ე და ფა----------–-----ე გი----------ის მშობლები, ანუ ემ-–----------ის - ბაბუა და ბებია. გი----------–-----ე ცხოვრობს მშობლებთან ერთად. ბა----------ეს და ფა----------ეს უფლება აქვს ურთიერთობა ჰქონდეთ შვილიშვილთან. ამ მიზნით კი

ნახულობდნენ მას და ღებულობდნენ მის აღზრდაში მონაწილეობას. მათ, ბავშვის მამის - გი----------–----ის მსგავსად, უნდა მიეცე საშუალება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებში მოინახულონ შვილიშვილი. შესაბამისად მათი სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ნი---------–--ის სარჩელი ალიმენტის დაკისრების შესახებ:

9.8. სასამართლო განმარტავს, რომ ალიმენტის გადახდევინების მიზანია არასრულწლოვანი ბავშვების დაცვა. მათთვის იმ სარჩოს მიღების გარანტიის შექმნა, რაც კანონით ერგებათ მშობლებისაგან.

“ბავშვის უფლებათა შესახებ” კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

9.9. საქართველო მიერთებულია “ბავშვის უფლებათა შესახებ” კონვენციაზე და იძლევა გარანტიას ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხებში. ბავშვთა უფლებების დაცვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით:
,,1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.
3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით”.
ბავშვთა უფლებების დაცვა საქართვეოს კონსტიტუციით გარანტირებული ვალდებულებაა. მას აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია და ქმნის მისი დაცვის გარანტიებს. მათგან ძირითადი მარეგულირებელი ნორმები თავმოყრილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

9.10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლით: ,,მშობლები მოვალენი არიან აირჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ”.
ამავე კოდექსის 1202-ე მუხლით ,,მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ

იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ.
ეს ვალდებულება არსებობს, მიუხედავად იმისა მშობლები ქორწინებაში იმყოფებიან, თუ მათ შორის ქორწინება შეწყვეტილია. მშობლები ვალდებულნი არიან აღზარდონ და არჩინონ თავიანთი შვილები სრულწლოვანებამდე".

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია და სადავო არ არის ის გარემოება, რომ მხარეებს ჰყავთ ერთი შვილი - 2016 წლის 1----------ს დაბადებული ემ-–----------–----ე (პ/ნ 6----------), რომელიც ცხოვრობს და იზრდება დედასთან ანუ მოსარჩელესთან. მიუხედავად იმისა, რომ გი----------–-----ე არ ცხოვრობს ნი---------–--ესთან და შვილთან ერთად, მას შვილის მიმართ ისეთივე უფლებები გააჩნია, როგორც დედას. გარდა უფლებისა, მას, როგორც მამას, ეკისრება რიგი ვალდებულებები, კერძოდ იზრუნოს შვილის რჩენაზე, აღზრდაზე და განვითარებაზე. ამ ვალდებულების შესასრულებლად მან აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც მის აღზრდა-განვითარებაში, ასევე მატერიალურ უზრუნველყოფაში. ბავშვის აღზრდა ოჯახის ძირითადი ამოცანაა. ბავშვი ეკუთვნის არა მარტო მშობელს, არამედ მთელ საზოგადოებას. ამიტომ ბავშვის აღზრდა განიხილება, როგორც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე და მიიჩნევა არა მარტო ზნეობრივ, არამედ სამართლებრივ მოვალეობადაც. შვილების აღზრდაში მშობლებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები ეკისრებათ. არც ერთ მათგანს არ ენიჭება რაიმე უპირატესობა. სასამართლოს მიაჩნია, რომ შვილების აღზრდის პროცესში უპირატესად სწორედ ბავშვის ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული. შესაბამისად, აღნიშნულ ნორმათა ანალიზის საფუძველზე სასამართლო განმარტავს, რომ მშობელს, რომელთანაც ბავშვი არ იზრდება და რომელიც ყოველდღიურად ვერ მონაწილეობას ბავშვის აღზრდასა და განვითარებაში, ალიმენტის სახით უნდა დაეკისროს იმ ოდენობის თანხა, რაც უზრუნველყოფს ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელი ხარჯების მინიმუმს მაინც.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხის ვალდებულებაა არასრულწლოვანი შვილის რჩენისათვის გადაიხადოს ალიმენტი და უზრუნველყოს მისი რჩენა და აღზრდა-განვითარება.

9.11. სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის შესაბამისად, ,,თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას წყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას".
ამავე კოდექსის 1230-ე მუხლის პირველი ნაწილით: ,,გადასახდელი ალიმენტის

ოდენობას, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი თანხის სახით, ალიმენტის გადამხდელისა და მიმღების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით".

საქმის განხილვით დადგინდა, რომ მხარეები ვერ შეთანხმდენ ალიმენტის გადახდაზე. მოსარჩელეს სურს მოპასუხის ვალდებულება ალიმენტის გადახდაში განისაზღვროს თვეში 300 ლარით. მიიჩნევს, რომ მოპასუხის შემოსავლის მიხედვით, ალიმენტის სახით 300 ლარი გონივრული ოდენობაა. მოპასუხე კი თვლის, რომ ამჟამად შვილის აღზრდასა და რჩენაში მისი საალიმენტო ვალდებულება უნდა განისაზღვროს მხოლოდ100 ლარით, რადგანაც არ მუშაობს და შემოსავალი არ აქვს. შესაბამისად ვერ შეძლებს ალიმენტის სახით მეტის გადახდას. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ ალიმენტის ოდენობაზე მხარეები ვერ თანხმდებიან, ამიტომ ალიმენტის ოდენობა უნდა დაადგინოს სასამართლომ.

9.12. სასამართლო განმარტავს, რომ ალიმენტის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, როგორც მშობლების ეკონომიური მდგომარეობა, ისე შვილების რჩენისათვის საჭირო თანხის გონივრული ოდენობა. ეკონომიური პრობლემები არ გამორიცხავს მოპასუხის მოვალეობას შვილებთან მიმართებაში მეორე მშობლის ანუ მოსარჩელის თანაბრად მიიღოს მონაწილეობა შვილის აღზრდაში. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე არ მუშაობს, გონივრულია მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ალიმენტის სახით დაეკისროს თვეში 180 ლარის გადახდა, რაც შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს არასრულწლოვანი შვილის ნორმალურ განვითარებას. გი----------ე არ მუშაობს, შესაბამისად მისთვის ალიმენტის გადახდა დაწესების მომენტიდანვე რთულია, მაგრამ ეს სირთულე მას არ ათავისუფლებს საალიმენტო ვალდებულებისაგან.

9.13. სასამართლო განმარტავს, რომ კანონი იცნობს მშობლის გარდა სხვა პირთა სალიმენტო ვალდებულებასაც, მაგრამ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სხვა პირების საალიმენტო ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როცა მშობლებს არ ეკისრებათ საალიმენტო ვალდებულებები, ანუ თუ მათ არ შეუძლიათ მშობლებისაგან მიიღონ სარჩო. წინამდებარე შემთვევაში, გი----------ეა ალიმენტის გადახდის ვალდებული პირი, ამიტომ საალიმენტო ვალდებულება სხვა პირებზე არ ვრცელდება (საქ. სკ.-ს 1125-ე მუხლი). გარდა ამისა სხვა პირთა საალიმენტო ვალდებულების დადგენას აუცილებლად სჭირდება სასარჩელო წარმოება. მოსარჩელემ სხვა პირები უნდა დაასახელოს მოპასუხედ და მათ წინააღმდეგ აღძრას სარჩელი. მოსარჩელეს მოპასუხის დედა და მამა მოპასუხედ არ დაუსახელებია და მათ წინააღმდეგ დავა არ წამოუწყვია. ასეთი დავის გარეშე კი მათი საალიმენტო ვალდებულების საფუძვლებს სასამართლო არ შეამოწმებს.

9.14. სასამართლო განმარტავს, რომ შვილის ნორმალური რჩენის, აღზრდისა და განვითარებისათვის საჭიროა სოლიდური თანხები და რომ 180 ლარი არაა საკმარისი შვილის რჩენისა და აღზრდისათვის (მაგ. თუ მოსარჩელე გადაწყვეტს შვილებს ასწავლოს ცურვა და უცხო ენა, მაშინ მას დაჭირდება შვილების შესაბამის წრეებში შეყვანა. ამ ორ ,,ოპერაციას" თვეში 180 ლარი დიდი ალბათობით არ ეყოფა), მაგრამ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს მშობლების მატერიალური შესაძლებლობებისა და შვილის რჩენისათვის სავალდებულო ხარჯების თანაფარდობის ფარგლებში და არა იმის მიხედვით, თუ რა თანხა სჭირდება შვილს აღსაზრდელად, ან რა თანხა გააჩნია მოპასუხეს შემოსავლის სახით. ასეთ სიტუაციაში შვილის რჩენისათვის 180 ლარის ალიმენტის სახით დადგენა არის გონივრული. ის არის, როგორც შვილის რჩენისა და აღზრდისათვის მინიმალური, ასევე მოპასუხის მატერიალური შესაძლებლობის ზღვარზე შერჩეული.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე მშობლის ეკონომიური მდგომარეობისა და შვილის რჩენისათვის საჭირო თანხების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს თვეში 180 ლარის გადახდა.

9.15. სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მეორე ნაწილით ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან.
სარჩელი აღძრულია 2019 წლის01 აპრილს. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა დაცვით მოპასუხისათვის ალიმენტის გადახდის ვალდებულება დადგენილი უნდა იქნეს 2019 წლის 01 აპრილიდან.

10. საპროცესო ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით კი განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელებად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს,

თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ.

დადგენილია, რომ ნი----------ის მოსარჩელის მოთხოვნაა გი----------ისათვი ალიმენტის დაკისრება. იგი ალიმენტის ნაწილში ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გი----------ეს დაეკისრა ალიმენტის სახით თვეში 180 ლარის გადახდა. აქედან, იგი 100 ლარის გადახდას ეთანხმებოდა. მასზე გადასახდელი ბაჟის ოდენობა შეადგენს 28,80 ლარს. საქ. სსკ-ის 49-ე მუხლის მეორე ნაწილის გათვალისწინებით, გი----------ე ბაჟის გადახდისაგან იმ ნაწილში უნდა გათავისუფლდეს, რა ნაწილშიც სარჩელი სცნო.

დადგენილია, რომ გი----------ის, ბა----------ის და ფა----------ის სარჩელზე გადასახდელი სახ. ბაჟის ოდენობა შეადგენს 100 ლარს. მოსარჩელეებს ბაჟი გადახდილი არ აქვთ. ისინი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან არ თავისუფლდებიან. მათი სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ასევე, ნი----------ემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელი ნაწილობრივ ცნო. შესაბამისად, ნი----------ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის ნახევრის გადახდა 25 ლარის ოდენობით, ხოლო მოსარჩელეებს - გი----------ეს, ბა----------ეს და ფა----------ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად უნდა დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 50 ლარის ოდენობით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 39-ე, 49-ე, 53-ე, 55-ე, 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე, 259[1]-ე, 264-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გი----------ის, ბა----------ის და ფა----------ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

1.1. გი----------ეს, ბა----------ეს და ფა----------ეს განესაზღვროთ შვილის - შვილიშვილის - 2016 წლის 1----------ს დაბადებული ემ----------ის (პ/ნ 6--------

--) ნახვის დღეები შემდეგი წესით:

1.1.1. ყოველი კვირის შაბათ და კვირა დღეს მოინახულონ და წაიყვანონ თავისთან, 12 საათიდან 5 საათით და დააბრუნონ - მიუყვანონ დედას - მოპასუხე ნი----------–---ეს 17 საათზე;

1.1.2. არასრულწლოვანი ემ-–----------–-----ის მიერ 6 წლის ასაკს მიღწევიდან, ყოველი კვირის შაბათ დღეს, 12 საათიდან მოინახულონ და წაიყვანონ თავისთან ღამისთევით და დააბრუნონ - მიუყვანონ დედას - მოპასუხე ნი---------–---ეს მეორე დღეს - კვირას 14 საათზე;

1.2. გი----------–-----ის, ბა----------–-----ის და ფა----------–-----ის სარჩელი სხვა ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. ნი----------–---ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2.1. მოპასუხე გი----------–-----ეს მოსარჩელე ნი----------–---ის სასარგებლოდ დაეკისროს არასრულწლოვანი შვილის - 2016 წლის 1----------ს დაბადებული ემ-–----------–-----ის (პ/ნ 6----------) რჩენისათვის ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 180 ლარის ოდენობით, ემ-–----------–-----ის სრულწლოვანების ასაკს მიღწევამდე, ან ვითარების სხვაგვარად შეცვლამდე. ალიმენტის გადახდის ვალდებულება აითვალოს სარჩელის აღძვრის დღიდან - 2019 წლის 01 აპრილიდან.

2.2. ნი----------–---ის სარჩელი სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდეს.

3. სახელმწიფო ბაჟი გიორგი ბოლქვაძის, ბა----------–-----ის და ფა----------–-----ის სარჩელზე ბავშვების ნახვის დღეების განსაზღვრის შესახებ:

3.1. მოპასუხე ნი----------–---ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 25 ლარის ოდენობით.

3.2. მოსარჩელეებს - გი----------–-----ეს, ბა----------–-----ეს და ფა----------–-----ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 50 ლარის ოდენობით.

4. სახელმწიფო ბაჟი ნინო კეკელიძის სარჩელზე ალიმენტის დაკისრების შესახებ:

4.1. მოპასუხე გი----------–-----ეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 28,80 ლარის ოდენობით.

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (ქუთაისის, ნიუპორტის ქ. #32) მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემის მომენტიდან 14 დღის ვადაში ამ გადაწყვეტილების მე-6 პუნქტში მითითებული წესების დაცვით ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (ბათუმი, ზუბალაშვილების ქ. #30) მეშვეობით.

6. გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს; ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომელსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასაამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78 მუხლებით დადგენილი წესით.

მოსამართლე **სალიხ შაინიძე**